



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### გუჯარეთი

გუჯარეთი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. გუჯარეთისწყლის ზემოთში, მდინარის ორივე ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ოღეთი, ღინტური, წითელსოფელი). ზ. დ. 1600 მ, ბორჯომიდან 40 კმ. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის. სოფელი ისტ. თორში მდებარეობდა. შემდეგ იგი აღმ.-ტერიტ. ერთეული გამხდარა, რაც დადასტურებულია ძვ. სომხ. გეოგრაფიაში „აშხარაცუიცი“ (VII ს.), სადაც იხსენიება თორი და გუჯარეთისხევი. სოფლის ირგვლივ მდებარე ნოყიერი საძოვრების არსებობამ და ძამის, ტანის, თრიალეთის, ტაბანყურ-ნარიანისა და გუჯარეთისწყლის ხეობებით მომავალი ურთიერთგადამკვეთი გზების ხელსაყრელმა თავმოყრამ განაპირობა გ-ის დაწინაურება. ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს ერთი გ., რევოლუციამდელ რუკებზე კი აღნიშნულია 2 გ. – დიდი და პატარა. ამ რუკების მიხედვით, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ირგვლივ დიდი გუჯარეთის ნასოფლარია, თანამედროვე გ. კი პატარა გ-ის ადგილასაა. დღევანდელ გ-ში ღვთისმშობლის ძვ. ეკლესიის ბუდეაა დარჩენილი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია სოფლის დასავლეთით, ხევგალმა შემალღებულ ადგილზე დგას. ძველი ნაგებია უხეშად გათლილი რუხი მოჟანგისფრო ქვით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. შიგნით პილასტრების ერთი წყვილია, მასზე ამოყვანილია კამარის საბჯენი თაღი. კედლები შელესილ-შეთეთრებულია. შემორჩენილია ეკლესიის დანგრეული გალავანი, რ-ის ახლოს ნასოფლარია. ტაძარი XIX ს-შია აღდგენილ-გადაკეთებული, შენობის ქვედა ნაწილში ჩაყოლებული დიდი ზომის ქვები და გალავანი კი ყველაზე ადრინდ. ფენა უნდა იყოს. ეკლესიის პროპორციების, სარკმელთა გაფორმების და სამშენებლო ხელოვნების მიხედვით ეკლესია XVI-XVIII სს. განეკუთვნება.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., გ ი ო რ გ ი ძ ე მ., ჩ ა ჩ ხ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ც., ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი გ., გუჯარეთი, თბ., 1987.

